ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 360

“ 25 ” ივლისი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და ინტერესთა გამოხატვაში კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გამარჯვებულ შპს „ჯიერ ქონსთრაქშენს“ (დღეის მდგომარეობით: შპს დეკა ვარკეთილი - ს/ნ. 405581375) შორის 2023 წლის 9 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისში, აბაშვილის ქუჩა №3, სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე, №01.19.19.005.225 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 5397 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „დეკა ვარკეთილის“ (ს/ნ. 405581375) ნაწილობრივ გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ“ ქვეპუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და ინტერესთა გამოხატვაში კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გამარჯვებულ შპს „ჯიერ ქონსთრაქშენს“ (დღეის მდგომარეობით: შპს დეკა ვარკეთილი - ს/ნ. 405581375) შორის 2023 წლის 9 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისში, აბაშვილის ქუჩა №3, სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე, №01.19.19.005.225 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 5397 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „დეკა ვარკეთილის“ (ს/ნ. 405581375) ნაწილობრივ გათავისუფლების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 23 ივლისის №25.1235.1395 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის

სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და ინტერესთა გამოხატვაში კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გამარჯვებულ შპს „ჯიერ ქონსთრაქშენს“ (დღეის მდგომარეობით: შპს დეკა ვარკეთილი - ს/ნ. 405581375) შორის 2023 წლის 9 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისში, აბაშვილის ქუჩა №3, სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე, №01.19.19.005.225 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 5397 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულების 3.1. და 3.4. პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 6.1.3. ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ნაწილისგან 834 750 (რვაას ოცდათოთხმეტი ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, შპს „დეკა ვარკეთილის“ (ს/ნ. 405581375) გათავისუფლების თაობაზე, იმ პირობით, რომ შპს „დეკა ვარკეთილის“ (ს/ნ. 405581375) მიერ განხორციელდება, 92 750 (ოთხმოცდათორმეტი ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარის გადახდა არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე